



2024 წლის სახელმწიფო
ბიუჯეტის იანვარ-მარტის
შესრულების

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი





2024
აპრილი

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 6,316.2 მლნ ლარი	104.1% 3 თვის გეგმის	25.7% წლიური გეგმის
---------------------------------	--------------------------------	-------------------------------

გადასახდელები - 5,753.5 მლნ ლარი	98.1% 3 თვის გეგმის	23.0% წლიური გეგმის
----------------------------------	-------------------------------	-------------------------------



ნაშთის ცვლილება 562.7 მლნ ლარი	საოპერაციო სალდო 1,081.3 მლნ ლარი	მთლიანი სალდო 281.2 მლნ ლარი
-----------------------------------	--------------------------------------	---------------------------------



სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 24,569.5 მლნ ლარის ოდენობით. 2024 წლის იანვარ-მარტში შემოსულობების შესრულება შეადგენს 6,316.2 მლნ ლარს (წლიური გეგმის 25.7%) და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 1,415.7 მლნ ლარით (28.9%-ით) აღემატება.



2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გადასახდელების წლიური გეგმა განსაზღვრულია 25,030.4 მლნ ლარის ოდენობით. 2024 წლის იანვარ-მარტში გადასახდელების შესრულება შეადგენს 5,753.5 მლნ ლარს (წლიური გეგმის 23.0%) და 1,094.4 მლნ ლარით (23.5%-ით) მეტია წინა წლის 3 თვის მაჩვენებელთან შედარებით.



სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 3 თვის გეგმა¹ განსაზღვრულია 6,066.2 მლნ ლარით, ხოლო 3 თვის შესრულება მის 104.1%-ს შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, 3 თვის გეგმის მიმართ, კარგი შესრულების დონით ხასიათდება შემოსავლებისა (100.8%) და ფინანსური აქტივების კლების (101.7%) მაჩვენებლები, ხოლო ვალდებულებების ზრდისა და არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტების შესრულება მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გამოირჩევა და 3 თვის გეგმის, შესაბამისად, 153.4%-ს და 169.2%-ს შეადგენს.


სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 3 თვის გეგმა განსაზღვრულია 5,862.9 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 3 თვის შესრულება 3 თვის გეგმის 98.1%-ს შეადგენს. რაც შეეხება გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის, ხარჯების, შესრულების მაჩვენებელი 3 თვის გეგმის 94.4%-ს უტოლდება. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გამოირჩევა არაფინანსური აქტივებისა და ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტები (3 თვის გეგმის, შესაბამისად, 122.4% და 277.1%), ვალდებულებების კლების კომპონენტს კი შესრულების შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვს (3 თვის გეგმის 88.9%).

[1] „საქართველოს 2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2023 წლის 29 დეკემბრის №518 ბრძანება.




2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ 3 თვეში შეადგინა 1,081.3 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - 281.2 მლნ ლარი. მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2020-2024 წლების 3 თვის საოპერაციო სალდოს და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.

რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის მოცულობამ შეადგინა 1,577.3 მლნ ლარი. იანვარ-მარტში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით ნაშთის დაგროვებამ 562.7 მლნ ლარი შეადგინა და 2024 წლის 1 აპრილისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი განისაზღვრა 2,140.1 მლნ ლარის ოდენობით.




სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მარტის თვის მაჩვენებლები

2024 წლის მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 2,547.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც თებერვლის მაჩვენებელს 636.6 მლნ ლარით აღემატება (ძირითადად, შემოსავლების კომპონენტის მატების გავლენით), ხოლო წინა წლის მარტის მაჩვენებელს - 682.7 მლნ ლარით. რაც შეეხება 2024 წლის მარტში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულ გადასახდელებს, მისი ოდენობა შეადგენს 1,825.2 მლნ ლარს, რაც თებერვლის მაჩვენებელზე 52.0 მლნ ლარით ნაკლებია, ხოლო 2023 წლის მარტის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 191.5 მლნ ლარით.




რაც შეეხება მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით:


შემოსულობების ფორმირება ძირითადად განხორციელდა შემოსავლებისა (83.9%) და ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრების (13.7%) ხარჯზე. ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელმა შეადგინა 0.9 მლნ ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებულ იქნა 60.5 მლნ ლარი.



2024 წლის მარტში ხარჯების მაჩვენებელმა 1,435.2 მლნ ლარი შეადგინა, არაფინანსური აქტივებისა და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელები, შესაბამისად - 215.0 მლნ ლარს და 40.2 მლნ ლარს, ხოლო ვალდებულებების კლების მაჩვენებელი 134.7 მლნ ლარს გაუტოლდა.




საგადასახადო შემოსავლები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადასახადების მიმოხილვა, რაზეც მარტში მიღებული შემოსავლების 95.3%, ხოლო მთლიანი შემოსულობების 80.0% მოდის. კერძოდ: სახელმწიფო ბიუჯეტმა გადასახადებიდან მიიღო 2,038.3 მლნ ლარი, თებერვლის მაჩვენებელზე 506.7 მლნ ლარით მეტი. წინა თვესთან შედარებით ყველა გადასახადი გაზრდილია (გარდა დღგ-ისა, რომლის სახითაც მიღებულია 32.3 მლნ ლარით ნაკლები). ზრდა ძირითადად მოდის მოგების გადასახადსა² და სხვა გადასახადებზე³, რომელთა სახითაც მიღებულია, შესაბამისად, 146.4 მლნ ლარით და 292.6 მლნ ლარით მეტი. რაც შეეხება დანარჩენ გადასახადებს, საშემოსავლო გადასახადი მომატებულია 72.1 მლნ ლარით, აქციზი - 27.2 მლნ ლარით (იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან სააქციზო შემოსავლის ზრდის გავლენით), ხოლო იმპორტის გადასახადი - 0.7 მლნ ლარით.

ხარჯები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



რაც შეეხება გადასახდელების ყველაზე დიდ კომპონენტს, ხარჯებს, იგი მარტში გაწეული მთლიანი გადასახდელების 78.6%-ს შეადგენს. კერძოდ, ხარჯებმა მარტში შეადგინა 1,435.2 მლნ ლარი, წინა თვის მაჩვენებელზე (1,492.3 მლნ ლარი) 57.1 მლნ ლარით ნაკლები, რაც დაკავშირებულია ყველა სახის ხარჯის შემცირებასთან, გარდა შრომის ანაზღაურებისა და გრანტებისა (რომელთა მაჩვენებლები გაზრდილია, შესაბამისად, 13.6 მლნ ლარით და 63.7 მლნ ლარით). კერძოდ: სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები შემცირებულია 75.3 მლნ ლარით, სხვა ხარჯები - 28.5 მლნ ლარით, პროცენტი - 17.2 მლნ ლარით, საქონლისა და მომსახურების ხარჯები - 12.5 მლნ ლარით, ხოლო სუბსიდიები 0.9 მლნ ლარით.

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2024 წლის მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ შეადგინა 702.5 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - 548.0 მლნ ლარი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მარტში მიღებული შემოსულობებისა (2,547.1 მლნ ლარი) და გაწეული გადასახდელების (1,825.2 მლნ ლარი) გათვალისწინებით, მარტის თვეში ნაშთის დაგროვებამ შეადგინა 721.9 მლნ ლარი.

[2] 31 მარტისთვის ხდება წარდგენა მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციისა იმ პირთა მიერ რომელთა საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი.


[3] 2016 წელს სახაზინო კოდექსის სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში (ძირითადად ეს ეხება საშემოსავლო გადასახადს), საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა გადასახადების ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე.



სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2024 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 6,316.2 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 88.6%-ის ოდენობით, მოდის შემოსავლებზე, რომელიც ნომინალურ გამოხატულებაში 2022-2023 წლებთან შედარებით გაზრდილია (გადასახადების მატების გავლენით). რაც შეეხება მის წილს შემოსულობებში, ეს მაჩვენებელი 2023 წლის მაჩვენებელთან (90.3%) შედარებით მცირედით შემცირებულია, 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (82.9%) შედარებით კი - გაზრდილი. ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები, 2023 წელთან შედარებით, მცირედით გაზრდილია, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ისე წილობრივად მთლიან შემოსულობებში, 2022 წელთან შედარებით კი - მკვეთრად შემცირებული (2024 წელს ვალდებულებების ზრდის წილობრივი მაჩვენებელი შემოსულობების 8.1%-ს შეადგენს, 2023 წელს - 7.3%-ს და 2022 წელს - 16.0%-ს). მთლიან შემოსულობებში არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით შემოსულობების ჯამური წილი მცირეა და 3.4%-ს შეადგენს, ეს მაჩვენებელი 2023 წელს 2.4%-ს, ხოლო 2022 წელს 1.1%-ს შეადგენდა.

სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის შემოსულობების კომპონენტები (მლნ ლარი)




შემოსავლების სახით 3 თვეში მიღებულია 5,593.5 მლნ ლარი, კვარტალური გეგმის 100.8% და წლიური გეგმის 27.0%, ხოლო წინა წლის მაჩვენებელს 1,170.7 მლნ ლარით (26.5%-ით) აჭარბებს. რაც შეეხება შემოსავლების შესრულებას კომპონენტების დონეზე, კარგი შესრულების დონით ხასიათდება გადასახადები და სხვა შემოსავლები, ხოლო გრანტების მაჩვენებელი მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გამოირჩევა.

იანვარ-მარტში მიღებული გადასახადები 5,212.3 მლნ ლარს, 3 თვის გეგმის 100.1%-ს და წლიური გეგმის 27.3%-ს შეადგენს. ყველა სახის გადასახადი (გარდა მოგების გადასახადისა, რომლის შესრულების მაჩვენებელი 57.5%-ია) მობილიზების კარგი დონით გამოირჩევა (განსაკუთრებით, დღგ და აქციზი) და 98.7%-113.5%-ის ფარგლებში მერყეობს. რაც შეეხება სხვა გადასახადებს, 3 თვეში მისი გეგმა განისაზღვრა 316.0 მლნ ლარით, ფაქტობრივად კი 699.3 მლნ ლარი შეადგენა. გასული წლის 3 თვესთან შედარებით გადასახადები 1,099.3 მლნ ლარით (26.7%-ით) არის გაზრდილი, რაც ძირითადად მოდის სხვა გადასახადების (733.0 მლნ ლარით), აგრეთვე, საშემოსავლო გადასახადის, დღგ-ის და აქციზის (შესაბამისად, 12.7%-ით, 9.7%-ით და 18.7%-ით) ზრდაზე.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადის მატება დაკავშირებულია ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 188.9 მლნ ლარით (15.7%-ით) ზრდასთან. რაც შეეხება დღგ-ს, იანვარ-მარტში დღგ-ის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 1,739.8 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით 154.4 მლნ ლარით მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან შემოსულია 107.3 მლნ ლარით, ხოლო იმპორტირებული პროდუქციიდან - 47.1 მლნ ლარით მეტი). წინა წელთან შედარებით, 18.7%-ით (81.2 მლნ ლარით) გაზრდილია აქციზი, ერთი მხრივ, ადგილობრივი პროდუქციის დაბეგვრიდან აქციზის (13.0 მლნ ლარით) შემცირების და მეორე მხრივ, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან შემოსავლის (94.2 მლნ ლარით) ზრდის გავლენით (მათ შორის, იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან აქციზის სახით მიღებულია 76.4 მლნ ლარით მეტი შემოსავალი).

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2023-2024 წლების 3 თვეში (მლნ ლარი)



გრანტების ფაქტობრივი მაჩვენებელი (116.9 მლნ ლარი) შესრულების მაღალი დონით გამოირჩევა, 3 თვის გეგმის 122.9%-ს და წლიური გეგმის 43.9%-ს შეადგენს, რაც დაკავშირებულია ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტებისა (3 თვის გეგმის 102.6%) და ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან გრანტის სახით შემოსავლის (3 თვის გეგმის 117.4%) გადაჭარბებით მიღებასთან, აგრეთვე, საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილ მიზნობრივი დანიშნულების გრანტებთან, რომლის სახით 3 თვეში მიღებულია 15.4 მლნ ლარი (აღნიშნული სახის გრანტი გეგმით არ გაითვალისწინება და შესაბამისად, გავლენას ახდენს გრანტების ჯამური მოცულობის ზრდაზე). ბიუჯეტში მიღებულია, აგრეთვე, საინვესტიციო გრანტები 4.6 მლნ ლარის ოდენობით, რაც 3 თვის გეგმის 91.1%-ს შეადგენს.

სხვა შემოსავლების სახით იანვარ-მარტში ბიუჯეტში მობილიზებულია 264.3 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 107.5% და წლიური გეგმის 19.6%. ძირითადი შემოსავალი მიღებულია საკუთრებიდან (50.4%, 133.2 მლნ ლარი) და არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან (25.7%, 67.8 მლნ ლარის ოდენობით).

არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები (60.9 მლნ ლარი) გადაჭარბებით იქნა მიღებული (ძირითადად მარტის თვეში) და 3 თვის გეგმის 169.2% და წლიური გეგმის 30.5% შეადგენა. აღნიშნული შემოსულობების ძირითადი ნაწილი (56.7 მლნ ლარის ოდენობით) მიღებულია ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან.

ფინანსური აქტივების კლების მუხლით (გაცემული სესხების დაბრუნებიდან) შემოსულობებმა იანვარ-მარტში 152.6 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 101.7%-ს და წლიური გეგმის 50.9% შეადგენა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 62.8 მლნ ლარით (70.0%-ით) აღემატება.


ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების სახით 3 თვეში ბიუჯეტში ჩაირიცხა 509.3 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 153.4% (წლიური გეგმის 15.3%). კერძოდ, საგარეო დაფინანსების წყაროდან თანხები ძირითადად შემოსულია საინვესტიციო კრედიტების სახით, 258.3 მლნ ლარის ოდენობით (3 თვის გეგმის 177.0%), ხოლო ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების სახით მიღებულია 2.3 მლნ ლარი (თუმცა 3 თვის გეგმით მისი მიღება გათვალისწინებული არ ყოფილა).

რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელს, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად მიღებულმა წმინდა შემოსულობამ 248.6 მლნ ლარი (3 თვის გეგმის 133.7%) შეადგინა.

	3 თვის შესრულება	შესრულება 3 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
ვალდებულებების ზრდა	509.3	153.4%	15.3%
საგარეო	260.6	178.6%	14.2%
საბიუჯეტო კრედიტები	2.3		0.5%
საინვესტიციო კრედიტები	258.3	177.0%	18.6%
საშინაო	248.6	133.7%	16.6%

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები


2024 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების მაჩვენებელმა 5,753.5 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 78.4%-ის ოდენობით, მოდის ხარჯებზე, რომელიც, 2022-2023 წლებთან შედარებით, ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილია, ხოლო წილობრივად გადასახდელებში - შემცირებული. კერძოდ, 2022 წლის იანვარ-მარტში, ხარჯების წილი გადასახდელებში შეადგენდა 80.5%-ს, ხოლო 2023 წლის იანვარ-მარტში - 80.9%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს, არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას, 2024 წლის იანვარ-მარტში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულების მაჩვენებელმა მთლიანი გადასახდელების 15.0% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის შესრულების მაჩვენებელმა - 1.1% და ვალდებულებების კლების შესრულების მაჩვენებელმა - 5.5%. 2023 წლის იანვარ-მარტში მათი წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო შესაბამისად, 12.5%-ის, 0.5%-ის და 6.1%-ის ოდენობებით, ხოლო, 2022 წლის იანვარ-მარტში - 12.8%-ის, 0.3%-ის და 6.4%-ის ოდენობებით.



ხარჯების შესრულებამ იანვარ-მარტში შეადგინა 4,512.2 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 94.4% და წლიური გეგმის 23.6%, რაც 2023 წლის მაჩვენებელზე 744.1 მლნ ლარით (19.7%-ით) მეტია. აღნიშნული სხვაობა დაკავშირებულია, წინა წელთან შედარებით, ხარჯების ყველა კომპონენტის მაღალ შესრულებასთან. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სხვაობის დიდი წილი მოდის სოციალური უზრუნველყოფის (265.1 მლნ ლარი) მუხლზე. 3 თვის გეგმასთან მიმართებით შესრულების კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა სუბსიდიების (109.1%), სოციალური უზრუნველყოფის (99.2%) და პროცენტის (97.8%) მუხლები. 3 თვის გეგმასთან მიმართებაში შესრულების დაბალი დონით ხასიათდება გრანტების (81.7%), საქონელი და მომსახურების (85.8%), სხვა ხარჯების (89.9%) და შრომის ანაზღაურების (92.7%) მუხლები.

პროცენტის მუხლის შესრულებიდან (418.3 მლნ ლარი) საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიმართა 248.0 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 170.3 მლნ ლარი. სოციალური უზრუნველყოფის მუხლის შესრულებიდან (1,846.5 მლნ ლარი) დიდი წილი მოდის მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე (1,379.3 მლნ ლარი), მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა (359.1 მლნ ლარი) და დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე (70.0 მლნ ლარი).


სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2023-2024 წლების 3 თვეში (მლნ ლარი)



არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულება (861.0 მლნ ლარი) 3 თვის გეგმის 122.4%-ს და წლიური გეგმის 20.6%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელების დიდი წილი მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (281.1 მლნ ლარი), თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (188.1 მლნ ლარი), საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (94.1 მლნ ლარი) და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (49.4 მლნ ლარი).

ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულების მაჩვენებელი (61.8 მლნ ლარი), 3 თვის გეგმის 277.1%-ს და წლიური გეგმის 20.2%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელები მოდის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გაცემულ სესხებზე 27.6 მლნ ლარის ოდენობით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გაცემულ სესხებზე 24.7 მლნ ლარის ოდენობით და დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში გაცემულ სესხებზე 9.5 მლნ ლარის ოდენობით.

ფინანსური აქტივების ზრდის შესრულება (მლნ ლარი)



ვალდებულებების კლების მუხლის შესრულება (318.5 მლნ ლარი) შესრულების კარგი დონით ხასიათდება და 3 თვის გეგმის 88.9%-ს შეადგენს, ხოლო, წლიური გეგმასთან მიმართებით - 22.4%-ს. აღნიშნული შესრულების დიდი წილი, 305.8 მლნ ლარის ოდენობით, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის.

	3 თვის შესრულება	შესრულება 3 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
ვალდებულებების კლება	318.5	88.9%	22.4%
საგარეო	305.8	88.5%	22.2%
საშინაო	12.7	99.6%	29.7%


აღსანიშნავია, რომ საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამული კოდების გარდა, გადასახდელების 3 თვის შესრულება მოიცავს დამატებით 5 პროგრამულ კოდს:

- "საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა" (პროგრამული კოდი - 24 14 04) - 6.8 მლნ ლარის ოდენობით;
- „სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (პროგრამული კოდი - 57 00) - 0.4 მლნ ლარის ოდენობით;
- "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა" (პროგრამული კოდი - 26 11) - 0.2 მლნ ლარის ოდენობით;
- "ახალი კორონავირუსული დაავადების - COVID 19-ის მართვა" (პროგრამული კოდი - 27 03 03 10) - 0.1 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“ (პროგრამული კოდი - 59 00) - 0.04 მლნ ლარის ოდენობით.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს შესრულებას, იანვარ-მარტში საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართა 734.1 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 93.7% და წლიური გეგმის 24.8%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა შეადგინა 218.7 მლნ ლარი, საიდანაც 144.0 მლნ ლარი წარმოადგენს სპეციალურ ტრანსფერს, 74.5 მლნ ლარი - კაპიტალურ ტრანსფერს და 0.2 მლნ ლარი წარმოადგენს მიზნობრივ ტრანსფერს. იანვარ-მარტში დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე მიიმართა 70.0 მლნ ლარი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მოხდა შესაბამისად 85.3 მლნ ლარის, 4.4 მლნ ლარის და 1.1 მლნ ლარის ათვისება.

იანვარ-მარტში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებამ ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შეადგინა 5,373.2 მლნ ლარი (3 თვის გეგმის 98.0% და წლიური გეგმის 23.1%), ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ქრილში:

2024 წლის 3 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია (მლნ ლარი)



დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2023 წლის 3 თვის შესრულება	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 3 თვის გეგმა*	2024 წლის 3 თვის შესრულება	შესრულების % 3 თვის გეგმასთან	შესრულების % წლიურ გეგმასთან
შემოსულობები	4,900.5	24,569.5	6,066.2	6,316.2	104.1%	25.7%
შემოსავლები	4,422.8	20,731.0	5,548.2	5,593.5	100.8%	27.0%
გადასახადები	4,113.0	19,115.0	5,207.4	5,212.3	100.1%	27.3%
საშემოსავლო გადასახადი	1,424.0	6,345.1	1,626.0	1,605.4	98.7%	25.3%
მოგების გადასახადი	671.1	2,690.0	1,080.0	620.8	57.5%	23.1%
დღგ	1,585.4	7,388.3	1,699.4	1,739.8	102.4%	23.5%
აქციზი	434.1	2,375.0	454.0	515.3	113.5%	21.7%
იმპორტის გადასახადი	32.1	150.0	32.0	31.8	99.4%	21.2%
სხვა გადასახადები	-33.7	166.6	316.0	699.3	221.3%	419.7%
გრანტები	114.9	266.0	95.1	116.9	122.9%	43.9%
სხვა შემოსავლები	194.9	1,350.0	245.7	264.3	107.5%	19.6%
არაფინანსური აქტივების კლება	29.7	200.0	36.0	60.9	169.2%	30.5%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	89.7	300.0	150.0	152.6	101.7%	50.9%
ვალდებულებების ზრდა	358.2	3,338.5	331.9	509.3	153.4%	15.3%
საგარეო	295.5	1,838.5	145.9	260.6	178.6%	14.2%
საშინაო	62.8	1,500.0	186.0	248.6	133.7%	16.6%
გადასახდელები	4,659.1	25,030.4	5,862.9	5,753.5	98.1%	23.0%
ხარჯები	3,768.0	19,120.9	4,779.0	4,512.2	94.4%	23.6%
შრომის ანაზღაურება	509.3	2,577.3	636.7	590.1	92.7%	22.9%
საქონელი და მომსახურება	428.3	2,232.0	602.9	517.3	85.8%	23.2%
პროცენტი	307.2	1,540.0	427.6	418.3	97.8%	27.2%
სუბსიდიები	223.9	1,044.9	236.8	258.4	109.1%	24.7%
გრანტები	212.5	1,513.0	361.6	295.3	81.7%	19.5%
სოციალური უზრუნველყოფა	1,581.4	7,470.4	1,860.9	1,846.5	99.2%	24.7%
სხვა ხარჯები	505.4	2,743.2	652.5	586.3	89.9%	21.4%
არაფინანსური აქტივების ზრდა	583.3	4,180.6	703.4	861.0	122.4%	20.6%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	25.4	305.6	22.3	61.8	277.1%	20.2%
ვალდებულებების კლება	282.4	1,423.4	358.2	318.5	88.9%	22.4%
საგარეო	269.7	1,380.6	345.5	305.8	88.5%	22.2%
საშინაო	12.6	42.7	12.7	12.7	99.6%	29.7%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	241.4	-460.9	203.2	562.7		

* 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №518)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2023 წლის 3 თვის შესრულება	2024 წლის ნლიური გეგმა	2024 წლის 3 თვის გეგმა	2024 წლის 3 თვის შესრულება	შესრულების % 3 თვის გეგმასთან	შესრულების % ნლიურ გეგმასთან
შემოსავლები	4,422.8	20,731.0	5,548.2	5,593.5	100.8%	27.0%
გადასახადები	4,113.0	19,115.0	5,207.4	5,212.3	100.1%	27.3%
გრანტები	114.9	266.0	95.1	116.9	122.9%	43.9%
სხვა შემოსავლები	194.9	1,350.0	245.7	264.3	107.5%	19.6%
ხარჯები	3,768.0	19,120.9	4,779.0	4,512.2	94.4%	23.6%
შრომის ანაზღაურება	509.3	2,577.3	636.7	590.1	92.7%	22.9%
საქონელი და მომსახურება	428.3	2,232.0	602.9	517.3	85.8%	23.2%
პროცენტი	307.2	1,540.0	427.6	418.3	97.8%	27.2%
სუბსიდიები	223.9	1,044.9	236.8	258.4	109.1%	24.7%
გრანტები	212.5	1,513.0	361.6	295.3	81.7%	19.5%
სოციალური უზრუნველყოფა	1,581.4	7,470.4	1,860.9	1,846.5	99.2%	24.7%
სხვა ხარჯები	505.4	2,743.2	652.5	586.3	89.9%	21.4%
საოპერაციო სალდო	654.8	1,610.1	769.2	1,081.3	140.6%	67.2%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	553.6	3,980.6	667.4	800.1	119.9%	20.1%
ზრდა	583.3	4,180.6	703.4	861.0	122.4%	20.6%
კლება	29.7	200.0	36.0	60.9	169.2%	30.5%
მთლიანი სალდო	101.2	-2,370.5	101.8	281.2	276.3%	-11.9%
ფინანსური აქტივების ცვლილება	177.1	-455.4	75.5	471.9	625.1%	-103.6%
ზრდა	266.8	305.6	225.5	624.5	276.9%	204.4%
ვალუტა და დეპოზიტები	241.4	0.0	203.2	562.7	276.9%	
სესხები	25.4	305.6	22.3	61.8	277.1%	20.2%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0		
კლება	89.7	760.9	150.0	152.6	101.7%	20.0%
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	460.9	0.0	0.0		0.0%
სესხები	89.7	300.0	150.0	152.6	101.7%	50.9%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0		
ვალდებულებების ცვლილება	75.9	1,915.1	-26.3	190.7	-725.4%	10.0%
ზრდა	358.2	3,338.5	331.9	509.3	153.4%	15.3%
საშინაო	62.8	1,500.0	186.0	248.6	133.7%	16.6%
საგარეო	295.5	1,838.5	145.9	260.6	178.6%	14.2%
კლება	282.4	1,423.4	358.2	318.5	88.9%	22.4%
საშინაო	12.6	42.7	12.7	12.7	99.6%	29.7%
საგარეო	269.7	1,380.6	345.5	305.8	88.5%	22.2%
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0		

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2024 წლიური გეგმა	2024 წლის 3 თვის გეგმა	2024 წლის 3 თვის შესრულება	შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	შესრულება 3 თვის გეგმასთან მიმართებაში %
00 00	სულ ჯამი	25,030.4	5,862.9	5,753.5	23.0%	98.1%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	86.6	22.2	18.7	21.6%	84.4%
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	71.8	18.4	15.7	21.9%	85.4%
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხებდველო საქმიანობა	25.8	6.5	5.1	19.7%	78.2%
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა	8.8	2.2	2.3	26.2%	104.7%
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	37.3	9.7	8.4	22.4%	85.8%
01 01 03 01	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება	37.2	9.7	8.3	22.4%	85.7%
01 01 03 02	გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელება	0.1	0.0	0.02	42.2%	168.7%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	12.8	3.2	2.6	20.3%	81.1%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.7	0.2	0.2	23.5%	70.4%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.3	0.3	0.2	18.3%	70.8%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	9.6	3.4	1.9	19.4%	54.0%
03 00	საქართველოს ბიზნესობიექტების აპარატი	0.9	0.2	0.2	21.8%	84.6%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	27.0	6.7	5.5	20.2%	81.6%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	23.3	7.1	4.4	18.8%	61.3%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	171.2	67.3	13.1	7.6%	19.4%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	29.9	8.3	5.8	19.5%	70.5%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	2.1	0.6	0.4	18.9%	62.1%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	12.7	3.2	3.2	25.0%	100.0%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	126.5	55.2	3.7	2.9%	6.6%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	6.2	1.6	1.3	20.3%	80.2%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	17.4	4.4	3.5	20.1%	80.4%
09 00	საერთო სასამართლოები	137.5	29.9	23.7	17.2%	79.4%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	134.0	29.0	23.1	17.2%	79.7%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	3.5	0.9	0.6	18.4%	69.8%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	10.6	2.5	1.3	12.0%	50.8%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1.4	0.4	0.3	23.3%	82.8%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.3	0.2	20.1%	70.8%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყებულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	1.4	0.4	0.4	27.0%	87.7%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.3	0.3	25.0%	85.9%

კოდი	დასახელება	2024 წლიური გეგმა	2024 წლის 3 თვის გეგმა	2024 წლის 3 თვის შესრულება	შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	შესრულება 3 თვის გეგმასთან მიმართებაში %
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.3	0.2	21.9%	79.4%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.4	0.3	25.8%	85.6%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.3	0.3	24.9%	90.3%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.5	0.5	0.3	22.4%	59.7%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.3	0.2	20.9%	77.5%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	210.0	53.1	49.2	23.4%	92.5%
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	161.2	39.9	35.1	21.8%	88.2%
20 02	ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა	45.3	12.3	13.4	29.7%	109.3%
20 03	უსაფრთხოების კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	3.5	1.0	0.6	16.1%	57.1%
21 00	საქართველოს პროკურატურა	63.2	16.6	13.1	20.7%	78.5%
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	4.0	1.5	1.0	23.9%	64.9%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	114.0	33.2	26.4	23.1%	79.3%
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	31.3	7.8	6.7	21.6%	86.4%
23 02	შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება	25.0	9.7	4.8	19.1%	49.1%
23 03	ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია	44.1	12.1	11.9	26.9%	97.9%
23 04	ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	9.6	2.5	2.0	21.1%	81.1%
23 05	საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	1.3	0.4	0.5	37.4%	112.4%
23 06	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა	2.7	0.7	0.5	18.3%	71.7%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	801.0	196.1	136.7	17.1%	69.7%
24 01	ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება	21.1	4.6	3.5	16.7%	77.2%
24 02	ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება	2.1	0.6	0.5	22.3%	78.4%
24 03	სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება	1.2	0.5	0.4	34.2%	75.2%
24 04	ბაზარზე ზედამხედველობის სფეროს რეგულირება და განხორციელების ღონისძიებები	1.8	0.5	0.4	21.6%	81.7%
24 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	33.5	9.2	8.2	24.6%	89.6%
24 06	სახელმწიფო ქონების მართვა	152.1	57.2	33.2	21.8%	58.1%
24 07	მენარმეობის განვითარება	304.9	69.2	43.0	14.1%	62.1%
24 07 01	მენარმეობის განვითარების ადმინისტრირება	4.9	1.2	1.0	20.4%	81.8%
24 07 02	მენარმეობის განვითარების ხელშეწყობა	300.0	68.0	42.0	14.0%	61.7%
24 08	საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება	81.1	28.4	11.3	13.9%	39.7%
24 09	ნავთობისა და გაზის სექტორის რეგულირება და მართვა	0.8	0.3	0.3	33.8%	93.8%
24 10	ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება	22.0	3.5	0.5	2.3%	14.5%
24 11	ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება	12.0	5.5	4.1	33.8%	73.4%
24 12	საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს კომპონენტი (ADB)	5.0	0.6	0.0	0.0%	0.0%

კოდი	დასახელება	2024 წლიური გეგმა	2024 წლის 3 თვის გეგმა	2024 წლის 3 თვის შესრულება	შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	შესრულება 3 თვის გეგმასთან მიმართებაში %
24 13	ტექნიკური დახმარების პროექტი საქართველოს ენერჯეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის (GESRP) მხარდასაჭერად (EU-NIF)	3.0	0.0	0.0	0.0%	
24 14	სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება	125.0	10.6	27.7	22.2%	261.0%
24 14 01	რეგიონალური ელექტროგადამცემის გაუმჯობესების პროექტი	120.0	10.6	20.9	17.4%	196.5%
24 14 01 01	500 კვ ეგხ „წყალტუბო-ახალციხე-თორთუმი“ (EU-NIF, KfW)	40.0	6.3	10.5	26.1%	167.3%
24 14 01 02	„ჩრდილოეთის რგოლი“ (EBRD), „ნამახვანის-წყალტუბო-ლაჭანური“ (EU-NIF, EBRD, KfW)	15.0	0.3	0.3	2.2%	111.5%
24 14 01 03	500 კვ ეგხ „ჯვარი-წყალტუბო“ (WB)	25.0	1.0	6.6	26.5%	663.3%
24 14 01 04	გურიის ელგადამცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება (EU-NIF, KfW)	20.0	1.6	1.3	6.5%	82.3%
24 14 01 05	კახეთის ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW)	5.0	0.2	0.1	2.3%	64.4%
24 14 01 06	„ხელეძულა-ლაჭანური-ონი“ (KfW)	15.0	1.3	2.0	13.4%	154.6%
24 14 02	შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის პროექტი (WB)	5.0	0.0	0.0	0.0%	
24 14 04	საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა	0.0	0.0	6.8		
24 14 04 01	500 კვ ეგხ-ის "ქსანი-სტეფანწმინდა" მშენებლობა (EBRD, EU, KfW)	0.0	0.0	6.8		
24 15	მოსახლეობის ელექტროენერჯითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება	3.6	0.2	0.2	5.1%	75.4%
24 16	საზღვაო პროფესიული განათლების ხელშეწყობა	1.4	0.4	0.4	28.1%	98.5%
24 17	ანაკლიის ღრმანყლოვანი ნავსადგურის განვითარება	3.4	1.0	0.7	20.6%	69.5%
24 18	ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში აღიარებული ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული ღონისძიებები	5.6	0.0	0.0	0.0%	
24 19	ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EU, EBRD, EIB)	5.0	0.0	0.0	0.0%	
24 20	სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარება	9.1	1.8	1.0	11.3%	56.0%
24 21	კურორტების განვითარების ხელშეწყობა	5.8	1.6	1.1	19.4%	72.1%
